3338

სასოფლო გაზეთი

პირველი წელიწადი

გაზეთის ფასი:

	ბაგზავნით ტფილისში	ბაუგზავნელათ:
	და გარეშე ადგილებში:	მან.
ერთის წლისა	— 7 მან.	— 6
ნახევრის წლისა	— 4 —	— 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 მ. 50 კ.	— 2 —

გამოდის სამშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და ქამბ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисѣ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

Ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე ბლეზებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და ქამბ. სტამბაში.

№ 32. სამშაბათი. I. 8 ოკტომბერი 1868 წ.

განცხადება

უმორჩილესად ესთხოვეთ იმ სოფლის სასამართლოებს, რომელთაც ფული არ შემოუტანიათ ამ წლის „სასოფლო გაზეთის“ ფასი, მალე წარადგინონ უეზდის ნაჩალნიკთან, რომ იმან, სადაც რიგია, იქ გამოგზავნოს. წლის ფასი ხომ ყველამ იცის, ე ქ ვ ს მანეთია.

შინაარსი:

— დარიგება მცხოვრებთადმი სარგებლობისათვის წერა-კითხვისა.—საოჯახო ცნობები.—საექიმო ცნობები.—პარიჟის გამოფენა.—ეკონომიური ჭურჭელი საქმლის მოსამზადებლათ.—სუნთქვა.—განცხადება სასოფლო გაზეთის „გამოცემაზე“.

დარიგება მცხოვრებთადმი სარგებლობისათვის წერა კითხვისა.

(ძველგება მეორე).

ბუშინ ესთქვით, ძმებო, თუ სწავლა რა სარგებლობას მისცემს კაცს სულიერად, დღეს განვაგრძოთ ხორციელის სარგებლობისათვის. თქენ მოხარული იქმნებით, რომ თქვენი შვილები მორჩილი და კეთილი იყვნენ აქ თქვენის ბრძანებისა: ხომ გიამებათ, რომ ისინი იყვნენ მარჯვე მუშაკნი, და ოჯახის გამგეობა ეცოდნენ, მაგრამ ბევრი იმთგანი და თითქმის სულაც არ არიან ამ გვარი შვილები, რადგან სიყმაწვილიდგანვე არ ზრდით ზრდილობიანათ, არამედ ასწავლით ნაცვლად ზრდილობისა მასხარაობას, ტყუილა ყოფას; იაჩვეეთ ფარისეველურს ყოფაქცევას, ნაზობას, არ უშლით უწმიდურს ცხოვრებას, ქურდობას, არ აჩვეთ ეკკლესიაზე სიარულს ღვთის შიშს და სხ. ამისთვის როგორც ყმაწვილები იზრდებიან, ეს ხასიათებიც თან ეზრდებათ და, გამაგრდებიან რა მათს გულში, თუნდა ფილოსოფოსიც დაიყენო ოჯახში მათ გასაწრთვენელად, ძნელად მოაქცევს; ამისგამო შვილები არა პატივს-სცემენ მშობელთა, როგორც გვამცნებს ჩვენ ჭკუული ღვთისა, აგინებენ და თითქმის სცემენცა, მოხუცებულების დროს ზოგნი შვილნი გააგდებენ მამას სახლისაგან; ამ უბედურობას, ამ საშინელ დასანთქავს თხრილს თვითონ სთხრით მშობლები, რადგან არ ზრდით შიშსა შინა, არ აძლევთ შკოლაში სასწავლებლად, ამისათვის ამ გვარის უწესოებისათვის არა შვილნი არიან პასუხის მგებელნი წინაშე ღვთისა, არამედ თქვენ—მშობელნი. ყოველი ესე უსწავლელობისაგან არის, თორემ მამამ რომ იცოდეს წერა-კითხვა, აქმენდეს სხვა გონიერება, რასაკვირველია შვილსაც ასწავლიდა და მისი შვილი თავის შვილს და წავიდოდა ასე ბოლომდის სწავლა. რაც იცით, იმას ხომ ასწავლით, ესე იგი: დურგლობას, ხუროობას, კალატოზობას, მიწის მუშაობას, აგრეთვე წერა-კითხვაც რომ იცოდეთ, იმასაც ასწავლით, და რადგან არ იცით, გგონიათ, თუ შვილებისთვისაც საჭირო არ არის; და რომ შკოლაში მისცეთ მათთვის და თქვენთვისაც დიდი სასარგებლო იქმნება; ხშირათ გამიგონია თქვენგან: ნეტავი ან მამაჩვენს ესწავლებიოს ჩვენთვის წერა-კითხვაო იმ კურთხეულსო. რათ არ ფიქრობთ, რომ თქვენი შვილებიც ისრე იტყვიან? და გიწოდებენ თქვენ არა კურთხეულად, არამედ მოგიხსენებენ ცუდათ.

აი ჩვენში და საყოველთაოდ რუსეთის იმპერიაში გაიხსნა ახალი სასამართლოები ჯერ სასოფლო და შემდგომ საყოველთაო. ყოველის წოდების კაცისათვის, სადაცა უწინდელზე უკეთესი მართლ-მსაჯულება არის, უფრო მალე სწყდება საქმე, რითაც მოჩივანს და მოპასუხეს დიდი სარგებლობა აქვსთ. აქამდინ რაც შეწუხება და ხარჯი იყო საჩივრის დაწყებაზე და როგორ გრძელდებოდა საქმე, ამაზე საჭირო არ არის თქმა, რადგან თვითონ იცით, და არ გახსოვსთ დაუვიწყარი სიტყვა, „ხვალ მოდი“, რომელსაც ხშირათ განიმეორებდნენ უწინდელი მოსამართლეები? და ეხლა ამ სიტყვამ მიიღო სულ სხვა მნიშვნელობა; ხვალ მოდი შეიცვალა „დღესვე იქმნება“. ახლანდელის მოსამართლის მსაჯულობა რომ გასჭერიტოს კაცმა, ემსგავსება მეორეთ მოსელის საშინელს განსჯას პირუთნებელის მსაჯულის იესო ქრისტესას; მსაჯული ზის სტოლზე განსხვავებულის შემკულებით, ვითარცა ქრისტე დასჯდება ტახტსა ზედა დიდებისასა, მოითხოვს მოჩივართა და მოპასუხეთა წინაშე მისსა, და წარსდგებიან რა ორნივე მხარენი, მართალს უჯარია; ხოლო მტყუანი სძრწის შიშისაგან, ვინადგან პირველი მოელის გამართლებას და მით კმაყოფილებას, ხოლო უკანასკნელი გამტყუნებას და დასჯას. იქ არ არის, არც ქრთამი, არც მეგობრობა, არც დიდკაცობა და არც მცირეობა; მდიდარ-

ნი და გლახაკნი, თავადნი, ჩინოვნიკნი და გლეხნი ყველანი ერთბამად წარსდგებიან და მიიღებენ ჯეროვანსა კმაყოფილებასა საქმეთა მათთაებრ. აი რა კეთილ საუკუნეში ჩავსდგით ფეხი; იყავით ზოგი თქვენგანი მონა, ანუ ყმა ბატონისა და გაწოდებდნენ მონად და ეხლა რომ თავისუფალი ხართ, გეწოდებათ თავისუფალი კაცი, და უკეთუ გესმოდესთ, ამ ორს სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს. არ არის არასფერი უარესი ამ ქვეყანაზე, როგორც მონაობა; ხოლო არც უკეთესი იმაზე, როგორც თავისუფლება; თავისუფალ კაცს რაც უნდა, იმას გაკეთებს, იმას იტყვის, იმას იმოქმედებს, ხოლო მონას ამეების უფლება არა აქვს, არამედ უნდა უყურებდეს უფალსა თვისსა და მისგან მოელოდეს ყველაზედ გარდაწყვეტილებას ანუ ნებართვას. არ გახსოვსთ საბატონო ყმათა, რომ მებატონის ნება მოუცემელად არ შეგეძლოთ არასფრის სყიდვა და ნამეტურ ადგილ—მამულისა, და თუ სყიდვა არ შეგეძლოთ, გავს გასყიდვა სულ არ შეიძლებოდა; აი რამდენ ზომადმდე კარგია კაცსა თვის თავისუფლება, აი როგორ გაუმჯობესდა თქვენი და ყოველი კაცის მდგომარეობა, როგორ უყვარვართ ღმერთსა, რომელმაც შთაუდვა ჩვენის კეთილობისათვის მმართებლობას კეთილი ჰაზრი; ამას ყველას თქვენ მაშინ უმეტესად დაიფასებდით, რომ სწავლული იყოთ, და კარგათ გესმოდესთ უმეტეს ადიდებდითცა ღმერთს, რომელსა ჰსურს ყოველის კაცის ცხოერება და მეცნიერებასა შინა ჭეშმარიტებისასა მოსელა.

თქვენ აძლევთ სახაზინო და სათემო ბეგრებს, ანუ გარდასახადს, მაგრამ ისრე მარჯვეთ აძლევთ, როგორც რიგია? არა აქვს მთავრობას და თქვენს სასამართლოს მის მოგებაზე დიდი შრომა? არ რჩება თქვენ შინ აუღებული ფული (ნედლიმკა)?—როგორ არა. და ეს სულ თქვენის უსწავლელობისგან არის. თქვენ ისრე გგონიათ, თუ ეს გარდასახადი თქვენ საევასარგებლოთ არ მიდიოდეს, თქვენ ისრე ჰგონებთ, თუ ამ ფულს მმართებლობა თავის სასარგებლოთ ინახავს. ამასობაში ეს ასრე არ არის. თქვენ გაკვესთ მმართებლობისგან როგორც ზეეთ ესთქვით მსაჯულები თქვენის მშვიდობისა და კეთილწარმატების დასაცველად, რომელიც გპატიობენ ერთის მეორის მძლავრობისაგან, გიცვენ ურთიერთის უსამართლოებისაგან, რაცა ხშირათ არის თქვენში უსწავლელობისაგან, მაშასადამე ვისთვისაც მწყემსი საჭირო არის, იმან ქირაც სიხარულით უნდა მისცეს, და რომ თქვენ იცოდეთ წესი, გესმოდესთ ყოველი ესე, მაშინ არა თუ გაუძნელებდით მთავრობას ამ გარდასახადის მოგროებას, არამედ დადებულს ვადაზე სიხარულით მიუტანდით თავის ბინაზე. იხდით როგორც არის, მაგრამ იქაც არის უწესობა და შეუბრალებლობა ღარიბისა, რადგან ესრეთი გარდასახადი სწარმოებს თქვენში თანასწორად, ესე იგი არ არის განრჩევა მდიდრისა და ღარიბისა. თქვენ ხომ ოჯახის მუშობაში იცით რიგიანობა, ასრე რომ შემძლებელს ცხენს ანუ ხარს უმეტეს ტვირთს დასდებთ და სუსტს უფრო მცირეს; რაისათვის კაცშიდაც არ არის განრჩევა, ანუ უკეთუ კაცნი უმჯობეს არ არიან პირუტყვეთა? ნუ უკვე ღარიბნი და მდიდარნი ადამის შვილები არა ვართ და ძმები ერთმანეთისა? მაშასადამე სიმძიმე ურთიერთისა უნდა ვიტვირთოთ და ესრეთ აღვასრულოთ სჯული იგი ქრისტესი, სიტყვისამებრ მოციქულისა.

ყოველი ესე უსწავლელობისაგან არის. რომ იცოდეთ და გესმოდესთ, რომელ ყოველი ცხოერება ჩვენი ამოთ დაგვრჩება შემდგომ სიკვდილისა, არ წაგვყვება არცა სიმდიდრე, და არცა რამე ამ სოფლისა, არამედ ერთი მხოლოდ კეთილნი საქმენი ჩვენი აღიწერებიან ცათა შინა; მაშინ კი შეიწყალებდით ღარიბთა და გლახაკთა და შეუსუბუქებდით მათ გარდასახადს.

შეხედეთ ახლანდელს სასოფლო გზებს, როგორ სასიამოვნო და სასარგებლო არიან თქვენთვის. თქვენ უცოდინარობისა და მიუხდომლობისაგამო გქონდათ სიხარბე ადგილ მამულში, რომელთა ზედაც უმეტეს გადის თქვენი გზები, სტოვებდით გზას ვიწროს და ჩარგავდით გზის პირზე ხეებს, იმ განზრახვით რათა შემდგომში უმეტეს საძნელო ყოფილიყოს გაფართოება გზისა, საითაც ცოტა მოაკლდებოდა თქვენს ადგილებს, შემდგომ გაიზრდებოდა რა თქვენ მიერ გზას იქით-აქეთ დარგული ხეები, რასაკვირველია, შტონი ერთისა ხისა შტოთა მეორეს ხისათა შეერთდებოდა ზეეთ, და გზა იგი შეიქმნებოდა ჩრდილი, ასრე რომ შუადღესაც იქ ღამე იყო; გაიელიდა რა ამ გვარს გზაზე ვინმე თქვენგანი საღამოთი და ხშირათ შეიძლება ღამითაც, რასაკვირველია შეეშინდებოდა ამ დახურვილს გზაში და გადირეოდა; ხოლო თქვენ ამ გაგიჟებას მიაწერდით არა თქვენსავე დანაშაულობას, არამედ—ეშმაკს; იტყოდით! ეშმაკმა გადარიაო; რაოდენი კაცი, ქალი და ყმაწვილები მანახავს და გამიგონია ამნაირათ რომ გაფუჭებულან, მოჭკლებიათ ჰაზრი, ჭკუა და გონება, შემდგომ ზოგნი თუმცა მორჩენილან, მაგრამ არა თავის სიმრთელეზე ყოფილან; ეთქვათ ამნაირს გზაში ჩადგებოდა ტალახი, სადაც არ მიადგებოდა მზე და უჭირდა ხარს და სხვა ტვირთთან საქონელს გატანა თავის მძიმე ტვირთისა, რისათვის სცემდით, აგინებდით ცუდათ ეპყრობოდით. ზარწმუნენ, ახლა არავინ არ გადირევა, არავის ტვირთვიანს პირუტყვს არ გაუჭირდება თქვენს გზებზედ გავლა; აქამდინ რომ შიშისაგან ორ-ორი წახვიდოდით, ახლა ერთს შეგიძლია წასელა; აქამდინ რომ ერთი ულელ ხარი ორ-ორს მიგყავდა, ახლა ორს ერთი გარეკავს და ამითი დიდი სარგებლობა გაქვსთ. და რომ თქვენ წიგნი იცოდეთ, მითი გაიხსნებოდა თქვენი გონება, განათლდებოდა თქვენი ჰაზრი, გაიგებდით თავიანთ სარგებლობას და საკნებელს და თვით თქვენვე მოიგონებდით ამ გზების გაკეთებას, გარნა თქვენ ვინადგან უწინდელისაებრ უსწავლელობასა და მიუხთომლობაში ხართ დამთენილნი ამისათვის იგულმტკიცნეულა თქვენი მწუხარე მდგომარეობა ჩვენის კეთილობისათვის მზრუველმა მმართებლობამ და მისის ბრძანებით კეთდება თქვენი იგი გზები, თუმცა კი თქვენისვე სამუალებით; გარდა ამისა რამოდენი არის, რომ სწავლას შეუძლია, მისცეს კაცს უმჯობესი გონიერება, უმჯობესი ხორციელი და სულიერი ცხოერება. ვის შეუძლია მისი აღწერა, ვის შეუძლია მისი დახსოვნება, უკეთუ მრთელათ დავსწეროთ, სად შეიძლებს სუსტი კალამი ჩვენი, სად შეიძლებს მცირეგონება ჩვენი და სად შემძლებელ არს ხელი აღწერად ყოველისა მის; განაგდეთ ძველი ფიქრი, რომელიც უბნობთ, რომ ჩვენი წინაპრებიც უსწავლელნი იყვენენ და კარგათ ცხოერობდნენო. თქვენ ისრე გგონიათ, თუ კარგათ ცხოერობდნენ, მაგრამ სწავლულ კაცს რომ ჰკითხოთ, იმათი ცხოერება სულაც არ მოსწონს, არამედ მაამსგავსებს ტყის ნადირს, რადგან მათ კურთხეულთ დროებში არა იყო რა სწავლა და განათლება, არ იცოდნენ სწინდე, არ ჰქონდათ გზა და თავისუფალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსველელობა ერთმანეთთან; იყო მათ შორის დაუცხრომელი მტერობა, ჩხუბი, ძმა ძმას არ ზოგავდა, მამა შვილს, სიძე სიმამრს და მეზობელი მეზობელს. იყო ნიადაგ სისხლის ღერა. ყველა ეს უსწავლელობით იყო, ამისათვისაც თქვენ გლეხ-კაცებს სწავლულები გიწოდებენ მიუხდომელ ხალხად. ეცადეთ, ძმანო, და თუ გსურსთ ამ სიტყვის შეცვლა სხვა სიტყვათ მოიგონეთ თავის თავი, აღაშენეთ შკოლა თქვენის შვილებისათვის. თქვენ ადვილათ ააშენებთ და ადვილად გაზრდით იმაში თქვენს შვილებს; ამაზედ მთავრობაც ცუილობს, რომ ყველგან შკოლები გაიხსნას, ხალხი განათლდეს, ისწავლონ რამე და გაიგონ ქვეყანა; ამ შკოლაში გარდა წერა-კითხვისა ისწავლიან კარგს ყოფა-ქცევას, ზრდილობას დედისა და მამის მორჩილებას, ღვთის შიშს და ჭკუას, ისწავლიან ოჯახის მზრუნველობას და განმგეობას; თქვენგანი ბევრი შეძლებული ხართ პურით, ღვინით და ფულითაც. მაგრამ რადგან არ იცით ცხოვრება, ისრეხარჯავთ, რომ სარგებლობას არ გაძლევსთ, და რომ იცოდეთ წიგნი, იმაზე გამოიცემიან გაზეთები, ჟურნალები და არიან წიგნებიცა, სადაცა ყოველ-სა ოჯახის მეურნეობას წაიკითხავთ და უმეტეს ადვილათ და სიწმინდით იცხოვრებთ. თქვენ რომ სახლები გაქვსთ თუმცა ძვირათ ღირს, მაგრამ თქვენთვის სულაც არ არის სასარგებლო. ზამთარში ბევრი შეშა გინდებათ და ეათბობაც არ შეიძლება სახლია; ამისათვის გაცივდებით ზამთრით და გაზაფხულზე, როდესაც გათბება ჰაერი, გახდებით ავათ და შემდგომ ნაცვლად იმისა, რომ წამალს იხმარდეთ ლეკრისა ანუ ექიმისაგან, მირბიხართ მკითხველთან, ანუ მისანთან, რომ რა მიზეზი არის. ავათმყოფობისა ზენა არ გახსოვსთ ზამთრის სიცივე? ზენა დაგავიწყდათ ზამთარში თრთოლა სიცივისაგან? მას რა კითხვა უნდა, რომ ჭკუიანი იყოთ, ცხადია არ გახდებით ავათ, არამედ გაიკეთებთ თბილ სახლს რაითაც გარდარჩებით ავათმყოფობას და თუ ვინიცობაა, უქეიფოთ შეიქენით ვინმე, ცხადია, რომ ყოველი სწავლული კაცი ლეკრს მოძებნის და მისგან მიიღებს კურნებას და არა მიიქცევა უგნურივით მკითხავთან, რომელიც ყოველისფერს საზიანოს გეტყვის; იმისთანა რასმეს გასწავლის, რომ შენც სჯერ-ხარ მის სიტყვას, შეგიყოლიებს მისი ნასწავლი საშუალება და ვერც არაფერს სარგებლობას იზამს. ბოლოს რაც დროება გადის ავათმყოფობა თან-და-თან ძლიერდება და ექიმსაც აღარ შეუძლია მორჩენა; აი ესრე იცის მკითხავმა, აი ასრე დაემართება ყოველს უსწავლელს.

შფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩვენო! რომელმან აღუხილნე თვალნი შობიდგან ბრმასა და იცნა მან ნათელი სოფლისა, ეგრეთვე განგვიხვენ ჩვენ ყოველთა თვალნი მონებისანი და მოგვეც სწავლა ჭეშმარიტებისა, რათა საენებელსა განვაგდებდეთ და სასარგებლოს ვიცნობდეთ და მივიღებდეთ, სადიდებელად შენდა თანა მამით და სულით წმიდითურთ ამინ.

მღვდ. ალექსი შარაბიძე.

კა-სა იელისს ჩყჲ წ.
ს. ქ ვ ე დ ა შ ა ვ რ ი.

საოჯახო ცნობები.

მასალა, რაც შეეხება სახლის პატრონების სარგებლობას.

ჭინჭრის დართვა ძაფათ.

მაღალი მომსხო ჭინჭრის ღეროები, რომელნიც დამჭკნარი იყოს, დასჭერით, გაახმეთ ნელ ცეცხლზედ, მერე დაბეგვეთ. ძაფები დარჩება კანაფსავით. ზამოვა ძაფი მომწვანო; დაართით, შემდგომ უნდა მოიხარშოს და გაათეთროთ ასე;—ახალი ადამიანის შარდი დასდგით თბილ ალაგას, როცა დამპალის სუნი აუვა შარდი მზათ არის.—ჭინჭრის ძაფი ანუ სელის ძაფი ჯერ წყალში მოხარშეთ ოთხჯერ. ის შარდი ჩასხით ან კოლოფში ან თაბახში, ზედ გაუდეთ ჩხირები და ძაფი გაფინეთ თხლათ; შარდზედ არ მიეკარ.ს, მაგრამ ახლო იყოს. შარდის ორთქლი ოცდა ოთხ საათზედ გაათეთრებს.—შემდგომ გაავლეთ ცივ წყალში.—ამითი მოქსოვილი ტილო უფრო მაგარი არის სელის ტილოსაგან.—

ბათეთრება უბრალო მატყლის მგზავსად ისპანიის მატყლისა.—პირველად ჩაწყეთ მატყლი გძელ ვარცლში, დასხით წყალი, რომელშიაც უნდა იყოს ცოტა გახსნილი ნაცარ წმუელი. ოცდა ოთხი საათი ასე უნდა იყოს. შემდგომ მატყლი ხელით გაწურეთ კარგათ,—მეორე დღეს კიდეე იმ ვარცლში ჩაწყეთ დასხით ცხელი საპნის წყალი, რომელშიაც უნდა ალაღლაღოთ; შემდგომ გასწურეთ, მერე ჩაწყეთ მოკალულ სპილენძის ქვაბში, რომელიც უნდა წყლით სავსე იყოს. წამოადუღეთ რამდენიმე ხანი. ძიდეე გასწურეთ და წმინდას ახდილ ალაგს თხლად გაჰფინეთ, რომ მზის სხივით გაშრეს. ამ თბილის წყალით გარეცხა ბევრჯელ სამჯერაც მოუნდება.—როდესაც გაშრება, გატენეთ მაგრა ბარდანა, მოჰკარით პირი და ბარდანა მატყლით ჩადეეთ მდინარე წყალში სამი ან ოთხი დღე,—შემდგომ მატყლი კიდეე უნდა გაიწუროს და გაშრეს მზეზედ. ფთხილათ უნდა იყოს კაცი, რომ მტევრი არ დაეფინოს.—მერე გამშრალი მატყლი შეიტანეთ სხვა ოთახში, და მრგვალის ჯანდრის ხით დაბეგვეთ, მაშინ საუცხოო თეთრი და სპეტაკი მატყლი შეიქნება.—

შ ე ღ ე ბ ა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ფ ე რ ა თ ს ა წ ე რ ე ლ ქ ა ღ ა ლ დ ი ს ა.

წ ი თ ე ლ ი ფ ე რ ი. ნახეეარ გირვანქისა მოიღეთ ფერნამბუკი (აფთეკაში იკითხეთ). ჩადეეთ ქილაში და დასხით კვასი, ასე რომ დაჰფაროს ფერნამბუკი. თბილს ალაგას დადგით ერთი ღამე, მერე აავსეთ მდინარეს წყლით, სამჯერ წამოადუღეთ, გაწურეთ ტილოში და ნუ გაავიცებთ, ჩაუყარეთ იმაში წმინდათ დანაყილი და გაცრილი სამი მისხალი შაბი,—მერე ისევ შემოდგით ცეცხლზედ სამჯერ კიდეე წამოადუღეთ, შემდგომ გააცივეთ, კისტიან ჩოთქით წაუსვეთ თეთრ ქაღალდსა.

2. მ წ ვ ა ნ ე თ. ერთი გირვანქა მწვანე შაბიამანი, თორმეტი მისხალი ლურჯი შაბიამანი აიღეთ. დაასხით ამას სამი ბოთლი ცხარე თეთრი ძმარი ერთ დღე და ღამეს თბილს ალაგს იდგეს, შემდგომ ამას დაუმატეთ ათი მისხალი მოხარშული თევზის წებო, გაწურეთ ეს საღებავი და წაუსვეთ ქაღალდს.

3. ლ ა ჟ ვ ა რ დ ი. მოხარშეთ სახამებელი თხლათ, როცა გაცივდეს დასხით მდინარე წყალი, შეთხელდეს, ასე რომ თეთრი წყალი გახდეს.—მერე ლილა მოიტანეთ გახეხეთ ამ სახამებელში, იმავე წყლით გაათხელეთ ისე, რომ კისტიდგან ადვილათ ჩამოდიოდეს წყალი და წაუსვეთ ქაღალდსა. რომ, გაშრეს, მერე ქაღალდი გააშრეთ.—

ა ლ უ ბ ლ ი ს ფ ე რ ა დ შ ე ღ ებ ა ძ ა ფ ებ ი ს ა ა ნ უ ბ ა ნ ბ ი ს ნ ა ქ ს ო ვ ნ ი ს ა. დაფხიკეთ ძეწნის ქერქი და არყის ხის ქერქი; ერთი წონისა უნდა იყენენ. ქოთანში ჩაყარეთ, დასხით წყალი, აადუღეთ

თავდახურული, ორთქლი არ ამოუვიდეს, მერე ის წვენი გადმოასხით, გაწურეთ; სამთუნგ ამ წვენს უყავით ერთი მუქა გაცრილი ნაცარი, ურიეთ ამდენი რომ აქაფდეს, მაშინ ჩადეეთ ამაში ძაფები, ანუ ნაქსოვნი და მოხარშეთ; თუ ძალიან მუქათ არ მოვიდა, ხელახლა გააკეთეთ საღებავი და მეორეთ მოხარშეთ.—

დ ა რ ი ჩ ი ნ ი ს ფ ე რ ა თ შეღება, ბანბეულობისა და ძაფისა.—ბაზაფხულზედ დაფხიკეთ იფნისა და მუხის ქერქი. უყავით შაბი, დაასხით ნაცარტუტი, ამაში მოხარშეთ.

წითლათ შეღება. ერთ გირვანქა წითელ სანდალს დაასხით წყალი, უყავით ამას გაცრილი შაბი, დადგით ცეცხლზედ. რომ ადუღდეს, ამაში ჩაუშვეთ შესაღებავი და ხარშეთ. შემდგომ გააშრეთ.

ყ ვ ი თ ე ლ ფ ე რ ა დ შეღება. ბაზაფხულზედ ვაშლის ქერქი გაახმეთ, როცა საჭირო არის, დაჩეჩქეთ, ჩაყარეთ ქილაში, დაასხით წყალი, დაუმატეთ წმინდად დანაყილი შაბი და ხარშეთ; კარგათ ადუღეთ, მერე ის წვენი გადაასხით სხვა ქილაში, ჩადეეთ საღებავი და ხარშეთ.—შემდგომ გაფინეთ თოკზედ გასაშრობათ.

შ ე ღ ე ბ ა მ ა ტ ყ ლ ი ს ა ყვითლად. ერთი ჩეთვერთი გირვანქისა ყვითელი კოჭა წმინდათ დანაყეთ, დაასხით სამი ბოთლი წყალი, დაუმატეთ ექვსი მისხალი შაბი, და შედეეთ ფეჩში. კოჭა ხარშეთ კარგათ.—მერე ამ ცხელ კოჭაში ჩადეეთ გირვანქა ნახევარი მატყლი, და მოხარშეთ კიდევ. კარგა რომ მოიხარშოს, მერე ამოიღეთ ხის კოვზით, ნუ გასწურაეთ ისე შეჰკიდეთ და გაშრეთ.

შ ა ვ ა თ შ ე ღ ე ბ ა მატყლისა. ორ გირვანქა მატყლისათვის მოიღეთ ნახევარ გირვანქა იფნის ქერქი, რომელიც უნდა იყოს აყრილი ან გაზაფხულზედ, ან ზაფხულზედ, დაჩეჩქეთ, ქვაბში ჩაყარეთ, დაასხით წყალი, ჩააწყეთ მატყლი, ასე რომ ქერქიც და მატყლიც წყალმა დაჰფაროს, შემოდგით ცეცხლზედ. როცა ადუღდეს, მაშინ დაუმატეთ მეოთხედი გირვანქა წელილად დანაყილი ძღარა. ორ ჯერ კარგათ წამოადუღეთ, მერე გადმოდგით ცეცხლიდგან. რომ განელდეს, ამოიღეთ და გაფინეთ.

შ ე ღ ე ბ ა ბანბეულობისა. ლურჯად და მწვანეთ.—ას გირვანქა ბანბეულობისათვის, ანუ ბანბის ნაქსოვისათვის, უნდა მოიღოთ ოცი ან ოცდა ოთხი გირვანქა ლურჯი სანდალი, ამის ნადუღ წვენში ჩააწყეთ ბანბეულობა,—ერთ საათს უკან ამოიღეთ გაჰსწურეთ. იმ საღებავ წვენს დაუმატეთ ერთი გირვანქა მწვანე ჟანგარო, ნახევარ გირვანქაი შაბი, ამ დამატებულ შესაღებავ წვენში კიდევ ჩასდეეთ ბანბეულობა, ერთი საათი ხარშეთ, მერე ამოიღეთ გაწურეთ, შემდგომ მოხარშეთ საპნის წყალში, დასასრულ მომატებული ფერადი უბრალო წმინდა წყლით გარეცხეთ, რომელიც გამოვა მუქი ლურჯი; დანარჩენის წვენთ შეიღებება ღია ლაჟვერდის ფერი.—

შ ე ღ ე ბ ა კ ო ნ წ ა ხ ო ვ ი ს ხ ი თ ა მატერიისა. ქონწახოვის ფესვი და თითონ ბუჩქის ტოტებიც ახალი უნდა გახმოთ, გამოხარშეთ, საუცხოოთ ყვითელს ფერს გამოიღებს; არ უნდა ამას შაბი. ეს შესაღებავი ყველას ჰსჯობია და არც გახუნდება.

შ ი ნ ა უ რ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ა, როგორ ჩამოასხათ კერაში ქონის სანთელი.—თექვსმეტი გირვანქა ხ.ერის, ანუ ძროხის ქონს, რომელიც უნდა წელილად დაჰსჭრათ, დაასხით ოთხი გირვანქა წმინდა წყალი, ქვაბით გაადნეთ ქონი, სიფთხილით, რომ არ დაიწოს.—ეს ქონი როცა დადნეს, საცერში გაწურეთ. ბაწურულს ქონს დაასხით ცხელი ადუღებული წყალი თექვსმეტი გირვანქა, რომელშიაც უნდა იყოს გასხნილი ერთ ნახევარი მისხალი გვარჯილა, ერთ ნახევარი ნიშადური და ერთი მეოთხედი გირვანქისა შაბი.—ამ მასალებით უნდა ადუღოთ ამდენი, რომ ნახევარი დადგეს, ნელს ცეცხლზედ, როდესაც ქონი შესქელდეს, გაწურეთ საცერში.—მერე ფორმაში ჩამოასხით; სანთელი იქნება წმინდა და მაგარი.—

ამისი პატრუქი უნდა იყოს ბანბისა: ეინემ ფორმაში დაამაგრებთ პატრუქსა, მანამ დაწმენდილ იმავე გაცხელებულ ქონს უყავით მეათედი წილი ქაფური და ამაში დადაღეთ—და ისე ჩამოასხით.—

წ მ ი ნ დ ა ს ა ნ თ ლ ი ს გ ა კ ე თ ე ბ ა თ ე თ რ ა თ.

სანთლის გაკეთება უნდა იყოს ან გაზაფხულზედ, ან ზაფხულში.—სანთელი გაადნეთ წყალში. როცა გადნეს, დაიცალეთ ჭუჭყს ქვეით მოიქცევეს: შემდგომ გაადნეთ კიდევ წყალში,—უნდა გქონდეთ თეფშები მზათ ან საქსონისა, ან ხისა.—როცა სანთელი გადნეს, თეფშებზედ დაასხით სანთელი, მაგრამ ვინემ სანთელს დასასხმდეთ, თეფში ცივ წყალში ამოავლეთ და ისე დაასხით. სანთელი ადუღებულ თხლათ; ეს ტილოზედ გაფინეთ მზეში და მალმალ დანამეთ ცივის წყლით.—სამს დღეს ასე დაადნეთ და თეფშებზედ დაასხით და მზეში გაჰფინეთ, სანთელი გათეთრდება.—ეს მე თითონ ვცადეო.—ამბობს მთარგმნელი.

საექი ო. ცნობები.

ე ნ ა.

ჩვენა ვსთქვეთ, რომ ენა არის სარკე კუჭისა. ეს სრულიად მართალი არის, ამიტომ რომ ენის ავათ-მყოფობა ყოველთვის დამოკიდებულია კუჭის ავათმყოფობაზედ და საკუთრად ძალიან იშვიათად ხდება ავათა. კუჭს გარდა თუ სხვა ასოთა ტკივილი აქვს კაცსა, მაშინ შეიძლება, რომ ენა თავის ბუნებით მდგომარეობაში იყოს და არა ფერი ცელილება არა ეტყობოდეს რა.

ლ ა მ ი. ბევრს წილად ენას გადაეფარება ხოლმე თეთრი ანუ ყვითელი ლამი. ამისი მორჩენისათვის საკმაოა რამდენიმე ხანს გასწიონ ფარეზობა, და იხმარონ წვენი რომელიმე მშუშხავი მცენარისა. უბრალო ყელის ტკივილის დროს, როდესაც მონელება აქვსთ მთელი, ენას ედება ლამი. ხანდისხან ენის სიყვითლე ჰგონიათ ნაღველის ავათმყოფობისაგან და სისხლს უშვებენ, მაგრამ სრულებით ნაღველისაგან კი არ არის. ყვითელი ფერი ენისა მოხდება ხოლმე სხვა და სხვა ავათმყოფობაში; და როდესაც სახადი აქვსთ, მაშინ კი ყოველთვის ენა ყვითელია. ამ ავათმყოფობის დაბოლოების დროს ენა შაედება, და თუმცა ამ გვარნი ავათმყოფნი ყოველთვის არა კვდებიან, მაგრამ ძალიან საშიშნი კი არიან.

მძიმე და მწვავე ავათმყოფობის შემდეგ ე. ი. სახადისა და სხე. ენაზედ აყრის თეთრსა და ყვითელს ძიძიბოებსა.

ე ნ ი ს ს ი მ შ რ ა ლ ე. ენა ხანდის-ხან, რომელსამე ავათმყოფობის გამაელობაში, შრება. დიდხანს და ძალიან სიმშრალე ენისა მოასწავებს მძიმე და მწვავე ავათმყოფობასა. მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ, რომ პირელია მძინარე ავათმყოფებს ყოველთვის ენა მშრალი აქვსთ.

ფ ე რ ი. როდესაც ენა პირის ფრათა სცემს, მაშინ უეჭველად დიდიხნის დაძველებული ავათმყოფობა აქვს კაცსა; გარდა ამისა სჩანს,

რომ ძალიან სისუსტე აქვს და ბევრი სისხლიც დაუკარგავს. ეს მდგომარეობა ბევრჯერ არის ხანგამოშვებულ ციებაში. ღვიძლის ფერი ენისა მოასწავებს სისხლის ტრიალის შემჭირვებასა, სიძნელესა, რომელიც წარმოსდგება გულის და სხვა ავათმყოფობისაგან; ეს ფერი ძალიან საშიში არის. წითელი ფერი ენის წვერზედ და ნაპირებზედ მოასწავებს კუჭის არეულობ სა. ეს არეულობა ძალიან გაძრიელებულია მაშინ, როდესაც მთელს ენაზედ სიწითლე არის გადადებული. ენა წითლდება გარდა ამისა მაშინ, როდესაც თიადორით არიან ავათა და აქვსთ ქუთეშა, თუმცა მაშინ მონელება კარგი აქვსთ; ამიტომ ენის სიწითლე ჯერ კარგათ უნდა გამოვიკვლიოთ, რა მიზეზით არის და მერე ისე უწამლოდ, თორე ყოველთვის რომ დიეტა დაუნიშნოთ ამითი მხოლოდ ავათმყოფს ავაცილებთ ჭირით სიკვდილსა და მოვკლავთ შიმშილითა.

რომ კარგათ გამოვიკვლიოთ ენის ფერი, ამისათვის ავათმყოფს უნდა გამოვაყოფინოთ ენა სრულად, ამიტომ რომ ენის წვერი ყოველთვის გამოყოფაში წითელი აჩის.

ენა იზდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მარტო ენის ტკივილი აქვსთ, ე. ი. როდესაც ენის ანთება აქვსთ. დაპატარავება, რომელიც წარმოსდგება მძიმე და მწვავე ავათმყოფისაგან, არის ძალიან ცუდი ნიშანი.

ენის კანკალი, განსაკუთრებით ციების დროს, ძალიან საშიშია; ამ შემთხვევაში სჩანს, რომ ენას ედება ხმელი და სქელი ლამი.

პ ა რ ი ჟ ი ს გ ა მ ო ფ ე ნ ა (ვ ი ს ტ ა ვ კ ა) 1867 წ ე ლ ს ა.

წ ი გ ნ ი 1.

მართლათ კარკი აზრია, რომ მარსის-მინდორი გარდაუქცევიათ ტაძრად ხელოსნობისა; ამ ს აგნისათვის უკეთესსა და უფრო ბრწყინვალე ადგილს მთელს პარიჟში ვერავინ იპოვნის.

იმ უზარმაზარი საქვეყნო გამოფენის შენობის შეხედვის უმალს გაგონდებათ აღწერანი გამოფენათა წარსული საუკუნოს ბოლოსი და ახლანდელი საუკუნეს დაწყებისა, რომელნიც იყვნენ პარიჟში.

პირველი ხელოსნობის გამოფენა იყო 1798 წელსა მინისტრის ფრანსუა დე-ნემატოს აზრით, ეს იყო ერთი ფარდული (სეფა), საჩქაროთ მოქოხებული გაჩორკნილი ფიცრებისაგან და ტილო. ბადახურული. ეს ფარდული იყო გაკეთებული იმავე მარსის-მინდვრის რომელღაც კუთხეში, სადაც ახლა სდგას ის მშვენიერი ხელოსნობის ტაძარი, აშენებული სულ რკინისა, ფოლადისა და შუშისაგან. მაშინ ექსპონენტები იყვნენ მხოლოდ 110. ამათ შორის იყვნენ განსაკუთრებით შესანიშნავნი ბრეღე და ქონტე, რომელთა ხელოვნებაც ახლაც არიან საქებნი. ამ გამოფენამ ვერ მიიზიდა საკმაოდ ყურადღება არ ვიცი, იმიტომ, რომ, როგორც ამ ჟამად ჩვენ საქართველოში არის ხოლმე, ისე იმ დროს ხელოსანნი და სახლოსანნი უგულოდ მოექცნენ იმ სასარგებლო საქმესა, და შერაცხეს დიდკაცობის დროების გატარებათა, თუმცა ტომ, რომ მაშინ ყოველთა ყურადღება პარიჟში იყო მიქცეული მხოლოდ ახალ რესპუბლიკის მეომარზედ, გენერალს ბონაპარტეზედ.

ბონაპარტე რომ შეიქმნა პირველ კონსულად, 1801 წლის შერიგების შემდეგ, გამართა გამოფენა ლუერში, რომელიც ვერაფრით დაემჯობინა პირველსა: ამ გამოფენაზედ იყვნენ მხოლოდ 200 ექსპონენტები.

1802 წლის გამოფენამ მიიზიდა 600 ექსპონენტები, რომელთა შორის სევრმა და ღობლენმა წარმოადგინეს იმ გვარი ხელოვნების ნივთები, რომელზედაც შეიძლებოდა ესიამოვნა საზოგადოებასა. ამ გამოფენაზედ იყვნენ სხვა მხრის ხალხიცა. მართლა ანგლიელები დასცინოდნენ ბევრს გამოფენილს ნივთებსა, მაგრამ ბევრი რამ კი იყიდეს: ერთმა გამოჩენილმა ორატორმა სახელად შოქსმა, იყიდა დიდრონი კონებით დანები თითო შეიდ-შეიდ გროშად. „ეს უფრო სასარგებლოა“, ამბობდა, „ვიდრე სხვა ძვირი და მდიდარი ნივთები პარიჟისა.

1806-ში იყო დიდი გამოფენა, რომლის პროგრამმა ნაპოლეონმა გამოგზავნა ვენიდგან, სადაც დაასვენა თავისი ჯარი აუსტერლიცის ომის შემდეგ. ამ გამოფენაზედ იყო 1500 ექსპონენტი (გამომფენი).

1819 წელსა, ბურბონების ადგინების დროს, გაიხსნა გამოფენა ინვალიდების სახლში. შემდეგ იყვნენ 1823 და 1827 წლის გამოფენანი. ამ სამ გამოფენაში საკმაო სრულებით არ მიდიოდა წინა.

ლუი-ფილიპის ხემწიფობის დროს ორი გამოფენა: 1834-ში 2,500 ექსპონენტებითა და 1845 შ. 4000-ითა.

ზამოფენაზედ, რომელიც იყო მეორე რესპუბლიკის დროს, 1849-ში იყო ბევრი ორთქლის მაშინები და ლოკომოტივიცა.

პირველი აზრი საქვეყნო გამოფენისა ეკუთვნის რომანისტს ეგენი სუს, რომელმაც იპოვა შურიეს თხზულებაებში. შურიე თხზულობდა გამართულიყო საქვეყნო ბაზარი. როგორც წესია ფრანციაში, პირველად სუს დაუწყეს სიცილი და ჩქარაც დაივიწყეს იმისი პროექტი, რომელიც ინგლიელებმა 1851-ში აღასრულეს დიდის წარმატებითა.

1855 წლის გამოფენამ პარიჟში რომელშიაცა რუსეთს არმიუღია მონაწილება, სრულებით არ ივარგა: ევროპის ყურადღება იყო მაშინ მიზიდული სულ ყირიმის ომისაკენ.

1867 წლის გამოფენა პარიჟში სრულებით სხვა იყო. ჯერ იმოდენი განსხვავება 1798 წლის ფარდულისა და 1867-ის მშვენიერი ტაძრისა, რომელიც სამოთხეს ემსგავსებოდა, და მერე ყოველი მხრიდგან მოსულნი იმოდენი ექსპონენტები (გამომფენელნი).

შენობა გამოფენისა რომ საკუთრად იდგეს, ის შვენება არას დროს არ ექმნებოდა, როგორც ახლა, როდესაც სდგას მშვენიერ ბაღის შუა გულში. ბაღის სხვა და სხვა ნაირი შენობაები, რომელნიც მოფენილია გარეშემო, აძლევენ გამოფენას ძალიან სანდომიან სახესა. აქ სდგას ეკლესია გოტური ხელოვნებისა, იქ პორტუღალის პავილონი; იმას იქიდამ რაღაცა ქარვასლის მსგავსი; ინგლიური კოტეჯი (აგარა); შემდეგ ინდოეთური ჰავა, ოსმალური მინარეთი, მაერების პატარა სახლი, ტუნისური შენობაები გუმბათებით; კიდევ იქით ეგვიპტური ეკლესია, კარებში სფინქსებით *); რუსული ქოხი და რუსული თაღელა, ისეთები, რომელსაც რუსეთში ვერა ნახავ, თუ არ კუკვების მაღაზიებში; ნორვეგიური შენობა, შვეიცარიის შალე და სხ. და სხ. ყველაზედ გამოსაჩენად და მაღლა სდგას ერთი ბურჯი, რომელიც გამოფენას ანათებს ელეკტრონული ცეცხლითა. მოშორებით მოჰჩანან ადვილად, მხოლოდ შუშით აშენებულნი შენობაები: ორანჟერები (საზამთრო ბალ-

ჩები) საფრანგლოები, აკვარიუმები და ტბა საესე გოკეთი. ეს კუთხე ბალისა ყველაზედ საესამოვნო და სანდომიანი არის.

სიერცე გამოფენისა იყო ორის მხრიდგან თითო ვერსი, შორიდგან ექვსასი ადლი. ბევრი წილი გამოფენის შენობისა ეჭირა ფრანციის ნაწილსა, რომელიც იყო გამოფენილი ჩდილოეთის და აღმოსავლეთის მხარე; სამრეთის მხარე ეჭირა ალჟირსა. ბალერეებში გადიოდნენ გზები, და შუაში გროვდებოდნენ, რომელზედაც იყო შუაგულის ბალი. ეს უფრო დიდი საყვავილე იყო, ოთხსავე მხრივ შადრევენებითა და მრავალი მარმარილოს სახეებითა, ვიდრე ნამდვილი ბალი. ამ გზებს აქვსთ სახელი ფრანციის მაზრებისა, რომლიდგანაც მოტანილი ნივთები აწყვია გამოფენაში: ელზასი, ნორმანდია, ფლანდრია, ლოტარინგია, პროვანსი დხ ალჟირი. სხვა მხარეთა ნივთებს ეჭირათ დანარჩენი ნაწილი შენობისა, ე. ი. დასავლეთის და ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარე. აქ ეჭირათ ალაგები დასავლეთიდგან მოკიდებული ამ რიგზედ: პრუსია, ბერმანია, ავსტრია, შვეიცარია, ისპანია, პორტუგალია, სბერძნეთი, დანია, ნორვეგია, შვეცია, რუსეთი, იტალია, რომი, დუნაის, სამთავროები, ოსმალო, იაპონია, სიამი, ბრაზილია. მეხიკა, შუა და სამხრეთის ამერიკის რესპუბლიკები, ირლანდია და ანგლია. ფრანციისა და პრუსიის ნაწილებშუა ჰქონდა მიცემული ადგილი ბელგიასა და ბოლლანდიასა. ამ ნაწილებში იყვნენ ქუჩები ამსახელებითა: ანგლიისა, ინდოეთისა, აფრიკისა, რუსეთის, ისპანიისა, ავსტრიისა, პრუსიისა, ბელგიისა და ნიდერლანდისა.

ბამოფენის შენობის შიგნით გამართული იყო ბალკონი რკინის მოაჯრითა, რომელზედაც ამსველელთა შეეძლოთ მოეარნათ მთელი გამოფენა და ეყურებინათ სიამოვნებით მაღლიდგან,

ყველას ეგონა, რომ გამოფენის სახალხო გახსნამდინ კიდეე გაიელის ორი კვირა, და ამიტომ ამშენებლები და დამწყობნი არ ეშურებოდნენ; ეს იმედი ამისთვის უფრო ჰქონდათ, რომ ფრანციის ნაწილში ყველაზე ბევრი გაუმართავი და დაუწყობელი ადგილი იყო. ბახსნის წინა დღეს ეს იმედი დაიკარგა და ყველანი შეუდგნენ სიჩქარით მუშაობასა. მარტით 18-ს ღამემ გაიარა ფაცი-ფუცში: სწმენდნენ გალერეებსა, რომლნიც იყვნენ მონაგვილი ყუთების ნამტერეებითა, ჩალითა, თივითა, ქატოთი, ქაღალდის ნახევებითა, თოკების ნაწყვეტებითა, ლურსმებითა და სხ. ყველგან ჰგვიდნენ, სწმენდამდნენ მინებსა განჯინებში. ანგარიშობდენ, რომ გახსნის წინა დღეებში გამოფენის შენობაში იმუშავეს ოცი ათასმა მუშებმა, და ყოველმა მუშამ აიღო შვიდიდგან თხუთმეტ ფრანკამდინ. (ფრანკია ხუთშაურიანი). მაგრამ 19 მარტს, გახსნის დღეს ჯერ ყოველი მზათ არიყო: ბევრი ყუთები და სკივრები დამალეს განჯინებქვეშ; ნივთების სახელებიც ჯერ არ იყო მომზადებული. ფრანციის კატალოგი, (აღწერა ნივთებისა) გამოვიდა გასასყიდათ გახსნის სამიდღის უკან, და ანგლიისა კი თერამეტშივე ისყიდებოდა.

ბამოფენის გახსნის დღეს, დილიდგან მოკიდებული, უანგარიშო ხალხი შემოეხვია ტუილერის სასახლესა; წყლის პირები დატენილი იყო ხალხითა. ნასადილევის ორ საათზედ ხალხში შეიქმნა მოძრაობა: იმპერატორი დაიძრა, ოთხის ღია კალასკით, ტუილერის ბალიდგან. სწორეთ ორ საათზედ კალასკები დადგნენ იმპერატორის პავილონთან, სადაც მიეგებნენ პრინცესსა მატილდა, მათი იმპერატორის უმაღლესობა გერცოგი ნიკოლაი მაქსიმილიანოვიჩი ლეიხტენბერგისა წარმომდგენელი რუსეთის ნაწილის გამოფენისა, პრინცი ორანისა წარმომდგენი ნიდერლანდის კომმისიისა, ფლანდრიის გრაფი წარმომდგენი ბელგიისა, პრინცი და პრინცესა მიურა. ყველამ შენიშნა, რომ პრინცი ჟერომი ნაპოლეონი აქ არ იყო, რომელიც იყო იმპერატორისაგან გაგზავნილი ბავრში, სადაც თითონ, თავისი ცოლი და შვილები ელოდებოდნენ ახალ ბძანებაებსა. ამბობენ, ვითომც არ მიეცეს იმისთვის ნება ეთქვა სიტყვა გამოფენის გახსნის დროსა, ამიტომ რომ ლაპარაკში ზომა არა აქვს.

პირველს შესავალშივე იმპერატორი და იმის ამალა იყვნენ მიღებულნი იმპერატორის კომმისიის მწყერთაგან, რომელთა უფროსად იყო მმართველობის მინისტრი რუე. მილოცვა რომ მიიღო, მაშინ ნაპოლიონი გაჰყვა კამისიას ბალკონზედ, რომლის ახლოსაც მისდევს მაშინების გალერეა.

ბამოფენის შინჯვაში იმპერატორი დადგა ერთ დიდს ლოკომოტივის წინა, რომელიც იყო ბუენიც ფაბრიკიდგან. შემდეგ გაშინჯა სტეფენსონის ლოკომოტივი, რომლის სიჩქარეზედ ამბობენ სასწაულთ მოქმედებასა, და ლოკომოტივი ვენის მეხანიკის კოტლიცის გაკეთებული, რომელიც, ამბობენ, ამბობენ ალმართ-დაღმართზედ ისეთისავე სიჩქარით, როგორც სწორე ადგილზედ. ბევრმა ნემეცების რკინის გზის ოთახებმაც მიიბყრა იმისი ყურად-ღება. იმპერატრიცა ევგენია სიამოვნებდა ბრუსელის მაქმანის გაშინჯვითა (ნაქსოვი ბადე სახეებით).

რუსეთის ნაწილზედ, რომელიც, სწორეთ ეამბობთ, იყო ყველაზედ ძლიეს მომზადებული გახსნის დროსათვის, იმპერატორი არ გაჩერდა, უთუოდ იმიტომ, რომ გახსნამდინაც ბევრჯელ მოსულა აქა და უსიამოვნია საზიკოვის ხელოვნებაზედ, რუსეთის მოზაიკებზედ და სხ.;

ნახა აგრეთვე ჩვენი მხრის ხალიჩები, მაუდზედ და ხავერდზედ ნაკერები, თოფი იარაღი და სხვა, ეტნოგრაფიული ნივთები.

ეგვიპტის ნაწილში გაელის დროს ნაპოლეონს ტუნისის არტისტებმა მისცეს კონცერტი ერთის საშინელის ხმისა. ლესსეპსმა და სხვა შორის აღმოსაელეთიდგან კომისარებმა წარუდგინეს იმპერატორს უცხო ქვეყნის პირნი რომელთა შორის ყველამ მაშინვე შენიშნა საკვირველათ გონჯი, სქელ ლოყებიანი იაპონიის ქალები, ჩინეთელები ფეხებამდინ დაწნულის თმებითა და ორი სიამური მანდარინები. ერთი იმადგანი შვენობა თავიანთი სახალხო ტანსაცმოსით და თაყვანისცა იმპერატორსა, გულხელდაკრეფილი ასე, რომ კინაღამ კისერი არ მოიტეხა; და მეორე ჩაცმული იყო ევროპიულად, რომელმაც დაუკრა თავი ყოველს ტანსაცმის წესზედა, მხედრულის სიმარჯვითა.

სიტყვა იმპერატორს არუთქვამს, მაგრამ ელაპარაკებოდა სხვა მხრის კომისარებსა, და ჰკითხავდა გამოფენილს ნივთების გარემოებას.

ბამოფენას რომ თვალი გადააელო სიჩქარით, შემდეგ იმპერატორი შეეიდა ხელოვნებითი სწავლის გალერეაში, სადაც იმას ელოდნენ: სასახლეში მხლებელნი, დიპლომატიის კორპესი, სენატი, კანონთა მდებელი კრება და სხვა მხრის დიდკაცობა, რომელნიც იყვნენ მოწვეულნი გამოფენის გახსნის დღის მოსალხენად. აქედამ დაუკრა თავი იმპერატორმა პუბლიკასა და დსტოვა გამოფენა. ეს იყო 4 საათს ნასადილევს.

ნაპოლეონი იყო შავი ფრაკით და თეთრს ყელსაკრავით; მხარზედა ჰქონდა გადაკრული პატიოსანი ლეგიონისა ლენტი. Ეგვენიას ეცვა ძალიან სადათ: მხრებზედა ჰქონდა გადაგდებული შავი ხავერდის მანტილი, გარშემო მოელებული წვრილი გიშრის მძივებითა; თავზედ მიხაკის ფერისა ხავერდის შლაპა, გარშემო მოელებული ოქროს გირლიანდი. რომელიც წარმოადგნედა მუხის ფოთლებსა; მიხაკის ფერი კაბა.

პუბლიკა გახსნაზედ ძალიან მრავალი იყო, ასე რომ სთელიან ოცდა ათი ათასზე მომატებულსა. შესასელელი ბილეთები ოცოც ფრანკად ისყიდებოდა, მაგრამ კამპანიამ საღამოზედ, ასი ათასი ფრანკის მაგივრად, ოცდა რვა ათასი ფრანკის მეტი ვერ ამოიღო კასსიდამ. რათაო, იკითხავთ? ამიტომ რომ იმათ გარდა, ვისაცა ჰქონდა ნება შესულიყო უფასოდ გამოფენის გახსნაზედ, ანუ რომელნიც იყვნენ მოპატიჟებულნი, შევიდნენ ბევრი სხვა პირნიცა, რომელნიც პოლიციელებთან ნაცნობათ იყვნენ. Ეს ფრანტუცებში ხშირად არის: ფრანცუცი, რაგინდ კარგი საზოგადოებიდგანა და მდიდარი იყოს, ძალიან ძნელად აძლევს ფულსა იმაში, რომ ნახოს რამ გასართობელი და თუნდა ჩინებული კარგი; სულ ძვირად ეჩვენება, სულ ცუდათა ფულით, და ესამოვნება მხოლოდ ისა, რომელსაც უფასოთა შოულობს. რანაირი განსხვავება არის ანგლიასთან! 1851 წ.—ში პირველ გამოფენას გახსნის დღეს ბილეთის ფასი იყო ერთი გირვანქა სტერლინგი (ექვს მანეთ ნახევარი.) Იმ დღეს ბროლის სასახლეში შევიდა სამოცი ათასი მნახველი დაკომპანიამ დათვალა საღამოზედ თავის კასსაში მილიონ-ნახევარი ფრანკი (ხუთშაურიანია).

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲭᲣᲠᲭᲔᲚᲘ ᲡᲐᲭᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲗ.

Ეარშავიდგან სწერენ ერთს რუსის გაზეთში: სსვათა შორის ერთი შესანიშნავი აქაური ამბავი უნდა გაცნობოთ ინისთანა ჭურჭლის მოგონებაზე, რომელიც, იქნება, შემდეგისათვის დიდი სასარგებლო რამ შეიქმნეს. Ერთი წლის წინათ უფ. �анскимъ და Парнчъмъ მოიგონეს ერთნაირი საჭმლის და სამზადებელი ჭურჭელი, რომელიც ინდომებს მეოთხედ ნაწილს იმ შეშისასა, რამდენიც ახლა უნდება მოხარშვასა. შინაგანი საქმეების კომისიიდგან ჯილდოს მიღების შემდეგ, მომგონებლები იყვნენ დაბარებულნი პეტერბურგს, სადაც იმათი მოგონებული იარაღი გამოსცადა საკუთარად ამ საგნისათვის დაწესებულმა კომისიამ. Ბამოცდათ აღმოჩნდა, რომ ცოტა ცვლილება უნდა მისცემოდა ამ იარაღსა და ეს ცვლილება მისცეს აქაურ უფ. Ბოტეს რკინეულის ფაბრიკაში. Ამ გვარად გაუმჯობესებული იარაღი ხელმეორედ გაიშინჯა, ფელდმარშალ-ნამესტნიკისა და სპეციალური კომიტეტის მწეერთა თანადასწრებითა, და შეიქმნა საერთოდ მოსაწონი. Უველას მოეწონა. Მაგრამ უკანასკნელად ერთხელ მაინც კიდევ უნდა გაშინჯონ მანევრების შემდეგ და დარწმუნდნენ სრულებითა: შეიძლება თუ არა ეს იარაღი ჯარების სამზარეულოთ შეიქმნეს? Ამას გარდა უნდა გამოსცადონ ივარგებს, თუ არა ეს იარაღი ცოტა ხალხისათვის? Პირველი სახე ამ იარაღისა არის საჭმლის მოსახარშავი სამოვარი, რომელიც დიდი-ხანია რაც ხმარებაში არის; მაგრამ შარშავის სამოვარი არის გამართული თელებზედა და ისეა მომართული თავის, მოწყობილობითა, რომ წარმოადგენს მთელს სამზარეულოსა. Შეიქრათა აქვსთ, რომ ჯერ ამ გვარი სამზარეულო მისცენ თითო-თითო პოლკსა გამოსაცდელად, და შემდეგ ყოველ როტაში და ბატარეიაში გააჩინონ თითო. Ეს იარაღი იმ გვარად არის გაკეთებული, რომ ჰგავს ურემსა, სადაც მზარეულის დასაჯდომიც არის. Შიგნითი გული სამ ნაწილად არის გაყოფილი: შჩისა, კაშისა და წყლისათვის. Აქვე არის ადგილი მასალებისა და შეშისათვის. Ეს სამზარეულო ღირს ორმოც თუმნათა, მაგრამ ამბობენ ორ სამ წელიწადში ეს ფასი გამოვა დანარჩენი შეშისაგანაო, რომელსაც ახლა ხმარობს მთელი როტა საჭმლის მოსახარშავად. Ქვის ნახშირი, შეშა აქ იწვება სრულებითა, ასე რომ ნაცრის მეტი არაფერი არა რჩებარა; ბოლიც კი ისე ადის, რომ სითბოს კუხნაშივე უშვებს და აცხელებს საჭმელსა. Შინცა ყოფილა ჯარში იმან კარგათ იცის ამ გვარი სამზარეულოს სარგებლიანობა, რომელსაც მისცემს იგი ჯარსა ომის დროსა. Რადგანაც ამ სამზარეულოში საჭმელი იხმარება სიარულშიაცა, ამიტომ ჯარი რა წამს მიეა დასასვენებელს ადგილსა, მაშინვე საჭმელი მზათ ექნება და დროს აღარ დაჰკარგავს საჭმლის მოხარშვაზედ. Ბარდა ამისა საშიშროების დროს ალიაქოთში, სალდათების სადილი აღარ გადაიყრება, ქვაბებიდგანა. [illegible] მდინ იყო ხოლმე, და ღონის მოსაბრუნებლათ წაიღებენ თანა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐ.

Სუნთქვისთვის ჩვენა გვაქვს პირი და ცხვირი, სასულე და ფილტვები. Ამათ ეძახიან სუნთქვის ორგანებსა ანუ იარაღებსა.

Სასულე არის კაკნატელას (ხტილის) მილი. Ეს მილი კაკნატელას რგოლებისაგან არის შემდგარი; მაგრამ ყოველი რგოლი ცალ მხრით გახეთქილია და ამ ალაგას რგოლის წვერები ერთმანეთთან შეერთებულია ხორცის ნაკეცითა. Მრავალი რგოლი ერთმანეთთან შეერთებული შეადგენს სასულესა ან კაკნატელას მილსა. (ხალხში სასულეს ყანურატოს ეძახიან).

Სასულე ძირს განიყოფება ორ ტოტათ; ერთი მარჯვენა ფილტვში შედის და მეორე მარცხენა ფილტვში. აქ ეს ორი მილი დაიყოფებიან ურიცხვ წვრილმან მილებათ, რომელნიცა ისე დაწვრილდებიან, რომ კაცის თვალიც ძლივს შეამცნევს. Ბოლოს ყოველი პატარა მილი ბუშტით თავდება. Ამ ბუშტებს ეძახიან ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲑᲣᲨᲢᲔᲑᲡᲐ. Ამათი კედლები გამოფენილია ბეწვური მასრებითა, რომლებშიაც სისხლი ჰსდის. Ბუშტები ჰაერით არიან გავსებულნი და ამ სახით ჰაერი გარშემომდგარი აქვს ბეწვურს მასრებსა, შედის ბეწვურის მასრების თხელს კედლებში და ასწორებს სისხლსა.

— Სისხლი გასწორდება მაშინ, როდესაც მობრუნებულს სისხლს გაეცლება ტანიდგან წამოდებული წამხდარი ნაწილები. Ეს მოხდება ჰაერის შემწეობით. Ის შედის სისხლში და ნაცვლად სისხლიდგან გამოდის ბუშტებში წამხდარი ტანის ნაწილები. ჰაერის შესვ-

ლა სისხლში მიუცილებლათ საჭიროა ტანის სიმრთელისათვის.

— ფილტვები და გული მდებარებენ გულგვამში. ბულგვამსა და სტომაკშუა ხორცის ფარდაა გაკრული, რომელიც გაჰყოფს გულგვამს სტომაკთან. ეს ხორცის ფარდა როდესაც გაიშლება გუმბათის ნაირათ არის ამოსული გულგვამში და როდესაც მოიეხუწება, მაშინ გუმბათი ძირს დაიწევს და ქალალდის თაბახსავით გასწორდება. მაშ როცა ხორცის ფარდა შეიფხუწება, გულგვამს ადიდებს და როცა გაიშლება, მაშინ გუმბათს იკეთებს და გულგვამს აპატარავებს.

როგორ ვსუნთქავთ?—ნეკნებზე ხორცის კუნთები შეიფხუწებიან, ამით ნეკნები აისწევიან და ცოტათ განზედაც გაისწევენ; ეს ადიდებს გულგვამსა; ამდროს ხორცის ფარდაც შეიფხუწება, ამის გუმბათი გაიშლება და ეს კიდეე უფრო უმატებს გულგვამის სივრცესა. ამისგამო ჰაერი ჩადის ფილტვებში, ჰბერავს იმათ როგორც გუდებსა და გაავსებს ჰაერის ბუშტებსა. ბუშტებიდგან ჰაერი შედის სისხლში და მაგიერად სისხლიდგან გამოდის მჟავე სუნი და წყლის ორთქლი. ამას შემდეგ ნეკნებზე ხორცის კუნთები გაიშლებიან, ნეკნები ძირს დაისწევს და ხორცის ფარდაც გუმბათს იკეთეს; ამის გამო გულგვამი შეეიწროედება, უჭერს ფილტვებს და ამიტომაც მომეტებული ჰაერი ფილტვებიდგან ამოდის. იმას ამოაქვს მჟავე სუნი, რომელიც არის ტანის წამხდარი ნაწილები.

აქედგან სჩანს, რომ როცა შეეისუნთქავთ, მაშინ ჰაერი შედის სისხლში და როცა გამოეისუნთქავთ, მაშინ სისხლიდგან გაცლილი წამხდარი ნაწილები ამოდის პირიდგან.

განცხადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სასოფლო გაზეთის“ გამოცემაზე

1869 წელში.

მომავალს 1869 წელს „სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა იმავე პროგრამმით, როგორთაც ამ წელს გამოიცემოდა

ხელმოსაწერი ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში ერთი წლისა ოთხი მანეთი; გაუგზავნელათ სამი მანეთი;

სასოფლო სასამართლოებისათვის გაგზავნით სამი მანეთი. ნახევარი წლისა გაგზავნით ორი მანეთი; გაუგზავნელათ ერთი მანეთი და ათი შაური, ერთი ნომერი ორი შაური.

„სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ ხუთშაბათობით.

ხელმოიწერება.

ტფილისში „დროებისა“ და “სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამბ. სტამბაში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით;

Въ Тифлисъ. Въ Контору Редакціи „Сельск. Газеты“ при Типографіи Меликова. и Ко.

ამასთანავე იბეჭდება თვითონ გაზეთის პროგრამმაც

პროგრამმა

„სასოფლო გაზეთისა“

„სასოფლო გაზეთში“ იქნება შემდეგი ნაწილები

I ოფიციალური ნაწილი:

მთავრობის განკარგულება, რომელიც განსაკუთრებით შეეხება სასოფლო სამმართველოთა.

ა) განკარგულებანი, რომელნიცა სასოფლო სამმართველოთა უნდა აღასრულონ.

ბ) განკარგულებანი, რომელნიცა უნდა აცნობონ სასოფლო სამმართველოთა, რომ იმათ ხელსამძღვანელთ შეიქმნან.

II. არა-ოფიციალური ნაწილი:

1. სამეურნეო ცნობანი. ამ ნაწილში დაიბეჭდება იმისთანა სტატიები, რომელნიც შეეხება სხვა და-სხვა სამეურნეო ნაწილის. მაგალითად: მიწის მუშაობას, ბოსტნის კეთებას, ღვინის მოყვანას, პირუტყვის მოშენებას და სხვ. სასოფლო ეკონომიის, ალბ-მიცემობის და ოჯახობის მაჩვენებელი სტატიები.

2. სახალხო მედიცინა (მკურნალობა). აქ დაიბეჭდება ისეთი სტატიები, რომელშიაც იქნება დარიგება, თუ როგორ უნდა იცხოვროს ხალხმა, რომ სიმრთელით იყოს, აგრეთვე იქნება ნაჩვენები ისეთი ექიმობა სხვა და სხვა ავათმყოფობაზე, რომ თვითონ ხალხსაც უექიმოთაც შეეძლოს ზოგიერთ ავათ მყოფობის მორჩენა.

3. ამბაები სასოფლო ხალხის ცხოვრებაზე: აქ დაიბეჭდება ამბები, თუ როგორ მიდის სასოფლო გამგეობა ჩვენს ქვეყანაში, სახალხო შკოლებზე, პურის მაღაზიებზე, ბანკებზე; აგრეთვე კორრესპონდენციები, და მოთხრობა სოფლის ხალხის ცხოვრებიდგან.

4. სხვა და სხვა ცნობა. წვრილმანნი ხალხის გასაგებნი სწავლანი, რომელთაც ექმნება მხოლოდ ის განზრახვა, რომ ხალხს ამოა-მორწმუნება და ცუდი ჩვეულება მოაშლევინოს.

5. სახაზინო და კერძოობითი განცხადება.

რედაგტორი და გამომცემელი ბ. წერეთელი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8-го октября, 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაკტორი და გამომცემელი ბ. წერეთელი.